ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/02

დაბა ქედა, **28 მარტი, 2025 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:05 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 13:55 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 16.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ინგა ანანიძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში;
როლანდ ბერიძე- ქედის მუნიციპალიტეტის მერი;
მამუკა თურმანიძე- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;
მზიური შავაძე- სსიპ ვახტანგ პაპუნიძის დაბა ქედის საჯარო სკოლის პედაგოგი და მოსწავლეები.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/02 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

28 მარტი, 2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არბენაძე	საკრებულოს წევრი	
20	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	
21	ინგა ანანიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დასწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 მარტის №01-06/02 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში;**
მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი: როლანდი ბერიძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2024 წლის შესრულების ანგარიში;**
მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

3. **მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის ანგარიში;**
მომხსენებელი: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: დავით თედორაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

4. **მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2024 წლის ანგარიში;**
მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. **შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ 2024 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;**
მომხსენებელი: შპს „ქედის კომუნალურსერვისი”-ს დირექტორი: სილოვან ბერიძე

6. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში;**
მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

7. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**
მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული იყო კიდევ ორი საკითხი ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და ა(ა)იპ - „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაზედაც ითხოვა წარმოდგენილ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეეტანათ

ცვლილება სხდომაზე განსახილველად და წარმოადგინა №02 მორიგი სხდომის დღის წესრიგის განახლებული პროექტი შემდეგი სახით:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში;**
მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი: როლანდი ბერიძე

2. **„„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2024 წლის შესრულების ანგარიში;**
მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. **მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის ანგარიში;**
მომხსენებელი: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: დავით თედორაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

5. **მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2024 წლის ანგარიში;**
მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

6. **შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ 2024 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;**
მომხსენებელი: შპს „ქედის კომუნალურსერვისი”-ს დირექტორი: სილოვან ბერიძე

7. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში;**
მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

8. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

9. **ა(ა)იპ - „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**
მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 მარტის №01-06/02 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95250701-95, 11.03.2025 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ინგა ანანიძემ რამდენიმე კითხვით მიმართა მომხსენებელს, კერძოდ: სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა ამ ეტაპზე საჭიროებდა ინკლუზიური ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, რაზედაც სკოლის დირექციამ წერილობითი სახით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის მერიას, ამიტომ ითხოვა კარგი იქნებოდა თუ ახლო მომავალში აღნიშნული პრობლემა მოგვარდებოდა. მეორე საკითხად დააყენა ამხანაგობის პროგრამით დაბა ქედაში, კერძოდ თედო სახოკიას ქუჩაზე არსებული ბინის შესასვლელის ნაწილის სახურავის პრობლემის მოგვარება, რადგან დიდთოვლობისას საფრთხის შემცველი იყო. აქვე დაამატა, რომ აღნიშნული ბინის ეზოში განთავსდეს ღია ფანჩატური.

როლანდ ბერიძემ პირველ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ის გაივლიდა კონსულტაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აჭარის განათლების სამინისტროსთან და შემდგომ მიიღებდა გადაწყვეტილებას. რაც შეეხებოდა, თედო სახოკიას ქუჩაზე კორპუსის სახურავის შეკეთების საკითხს განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ახორციელებდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროგრამას, რითაც შესაძლებლობა ჰქონდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს ესარგებლად ამ პროგრამით. კერძოდ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებმა უნდა ჩაერთონ აღნიშნულ პროგრამაში, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი დადგენილებით.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის მერს როლანდ ბერიძეს, როდის გაკეთდებოდა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალამრიდი არხები.

რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის მოსახლეობის მხარდაჭერა თუ არ იქნებოდა, მხოლოდ მერიის ჩართულობა არ იქნებოდა საკმარისი. აქვე ისაუბრა, რომ ,,აჭარის წყლის ალიანსი" ამ ეტაპზე ქედის მუნიციპალიტეტში ახორციელებდა მშენებლობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და უახლოეს მომავალში ეს პრობლემა სოფლებში აღარ იქნებოდა.

საკრებულოს წევრმა მზია ბოლქვაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს ,,ძველი სახლის ახლით ჩანაცვლების" პროგრამასთან დაკავშირებით, კერძოდ გათვალისწინებული იყო თუ არა ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დემონტაჟისთვის თანხა.

რაზედაც როლანდ ბერიძემ განმარტა, რომ ხშირ შემთხვევაში ძველი სახლების დანგრევა არ ხდება, რადგანაც ძველ სახლს მოქალაქე საწყობად ან სათავსოდ იყენებს, თუმცა ყოფილა შემთხვევა სადაც დემონტაჟის შემდეგ მოხდა ახალი სახლის აშენება და ეს დემონტაჟი მერიის ხარჯებით იქნა განხორციელებული.

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა მამუკა თურმანიძემ მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისათვის ქედის მუნიციპალიტეტის მერს როლანდ ბერიძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა, კერძოდ, როდის იწყებოდა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინტერნეტიზაცია და მეორე რა

კრიტერიუმით მოხდებოდა ეკომიგრანტი მოსახლეობის შეფასება (არჩევა) სოციალურ სახლში ბინის მიღებისას.

როლანდ ბერიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ინტერნეტიზაციის საკითხის მოგვარება უკვე დაწყებული იყო ქედის მუნიციპლიტეტის ტერიტორიაზე, სადაც გაცემული იყო მშენებლობის ნებართვა. აქვე აღნიშნა, რომ ორ წლიანი პროგრამაა და შესაძლებელია ვადაზე ადრე დასრულდეს კიდეც. რაც შეეხება, სოციალური სახლთან დაკავშირებით დასმულ კითხვას აღნიშნა, რომ პრიორიტეტი ბინების განაწილებისას ყველაზე შეჭირვებული და უსახლკარო მოსახლეობა იქნებოდა. თუმცა მანამდე შეიქმნებოდა შესაბამისი კომისია და კრიტერიუმების განსაზღვრაც მაშინ იქნებოდა შესაძლებელი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა ქედის მუნიციპალიტეტის მერს როლანდ ბერიძეს გაწეული საქმიანობისათვის და წარმატებები უსურვა.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

(განკარგულება N:გ-95,95250877; 28.03.2025 წელი).

2. **მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წარუდგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95250861-95, 27.03.2025 წელი) და წარმოადგინა ცვლილებათა რეესტრი შემდეგი სახით:

პროგრამული კოდი	**დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა**	**თანხა -/+**	**შენიშვნა**
01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	**845 500**	
04 01 01	ა.ა.ი.პ. ,,ბაგა-ბაღების გაერთიანება"	**50 000**	
1.4.1.1.2.2.	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	**70 000**	
1.4.1.5.1.2	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	**30 000**	
1.4.3.9.	სანქციები, ჯარიმები და საურავები	**30 000**	
1.4.4.1.2.99	ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**150 000**	
02 02 01 03	სოფელ ახოს ნაჭვავარის უბნის მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის	**9 100**	

	გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა		
1.3.3.2.2.1.2.	აჭარარიდან კაპიტალური ტრანსფერი	**500 000**	
1.3.3.1.2.2	სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ	**151 000**	გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან
ჯამი		**1 835 600**	**X**
პროგრამული კოდი	**ასიგნებების დასახელება**	**თანხა +/-**	**შენიშვნა**
02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	**228 900**	
01 02 01	სარეზერვო ფონდი	**40 000**	
06 02 09	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა	**123 600**	
02 03 03 04	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვადასხვა ინვენტარის შეძენა	**282 100**	
04 02	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა დახმარება	**20 000**	მუხლებს შორის გადატანა: სოციალურიდან სხვა ხარჯები 44000 ლარი
05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	**163 000**	
05 01 03 03	ა.ა.ი.პ. ,,ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"	**128 000**	საქონელი და მომსახურება 57200 ლარი, სხვა ხარჯები 70800 ლარი,
02 01 06	შპს ,,ავტოსატრანსპორტო საწარმო"	**17 000**	სუბსიდია
06 01 01	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	**18 400**	სუბსიდია

06 01 07	შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა	**151 000**	სოციალური
02 01 05	საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	**4 500**	სუბსიდია
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	**0**	მუხლებს შორის გადატანა: შრომისანაზღაურებიდან სოციალურში 12800 ლარი
04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	**0**	მუხლების დაზუსტება: შრომის ანაზღაურებიდან სოციალურში 10000 ლარი,
02 03 01 03	სოფელ კორომხეთში სოფლის სახლის მშენებლობა	**114 000**	სოფელში არ არის მასობრივი ღონისძიებებისათვის საზოგადოებრივი დანიშნულების დახურული სივრცე
05 01 04 06	სოფელ უჩხითში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია - რეაბილიტაცია	**215 100**	არსებული სპორტული მოედანი მოითხოვს გადაუდებელ რემონტს
05 01 04 07	მახუნცეთის თემის ცენტრში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია -რეაბილიტაცია	**180 000**	არსებული სპორტული მოედანი მოითხოვს გადაუდებელ რემონტს
ასიგნებების ჯამი		**1 685 600**	**X**
ხარჯებსა და შემოსავლებს შორის ბალანსი		**-150 000**	**X**
ნაშთიდან მოსესხების შემცირება		**150000**	**X**
საერთო ბალანსი		**0**	**X**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:2; 28.03.2025 წელი).

სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის პედაგოგმა მზიური შავაძემ მადლობა გადაუხადა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას ჩართულობისათვის და წარმატებები უსურვა თავიანთ საქმიანობაში.

(13 საათზე სხდომა დატოვეს: ინგა ანანიძემ, მზიური შავაძემ და საჯარო სკოლის მოსწავლეებმა)

3.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2024 წლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2024 წლის შესრულების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95250454-95, 14.02.2025 წელი.)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2024 წლის შესრულების ანგარიშს.

კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2024 წლის შესრულების ანგარიში.
(განკარგულება N: გ-95,95250876; 28.03.2025 წელი).

4. მოისმინეს: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის ანგარიში.
მომხსენებელმა მერიის ჯამრთელობისა და სოციალუირი დაცვის სამსახურის უფროსმა დავით თედორაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95250511-95, 20.02.2025 წელი.)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა მერიის ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს გაწეული საწმიანობისათვის და მოსახლეობაზე დროული დახმარების აღმოჩენისათვის.
შემდეგ, კენჭი უყარა მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის ანგარიშს.

კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული მერიის ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის ანგარიში.
(განკარგულება N:გ-95,95250875; 28.03.2025 წელი).

5. მოისმინეს: მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2024 წლის ანგარიში.
მომხსენებელმა მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა სულიკო სურმანიძემ საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის მიერ მერიის ზედამხედველობის ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95250501-95, 19.02.2025 წელი.)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მერიის ზედამხედლობის სამსახურის 2024 წლის ანგარიშს.

კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2024 წლის ანგარიში.

(განკარგულება N: გ-95.95250313; 28.03.2025 წელი).

6. მოისმინეს: შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ 2024 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელმა შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ დირექტორმა სილოვან ბერიძემ საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენა შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ 2024 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია (წერილის ნომერი: №10-95250792-95, 20.03.2025 წელი.) აქვე მიმართა საკრებულოს წევრებს თხოვნით, კარგი იქნებოდა მომავალში რაიმე სახის ფორმის შემუშავება მოხდეს ტრაქტორით სარგებლობასთან დაკავშირებით, მცირე გადასახადის სახით, რომელიც უფრო გაამარტივებდა მისი გამოყენების საკითხს და მოვლა-პატრონობას, რაზედაც სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ თუ ოფიციალური მიმართვა იქნებოდა შესაბამისი სამსახურის მიერ იმსჯელებდნენ საკითხის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ 2024 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენას.

კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ 2024 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

(განკარგულება N:გ-95,9525087; 28.02.2025 წელი).

7. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: №95-95250841, 25.03.2025 წელი.)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

(განკარგულება N:გ-95,95250873; 28.02.2025 წელი).

8.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

№	**განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები**	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და დამტკიცება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წლის მდგომარეობით აუქციონის ჩატარების შესახებ ანგარიშის მოსმენა - განხილვა	აპრილი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი
3	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2025 წლის პირველი კვარტალის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	აპრილი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
4	ქედის მუნიცალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	აპრილი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი
5	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წლიური ანგარიში	მაისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
6	ააიპ „ქედის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2024 წელს გაწული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	მაისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ააიპ „ქედის კულტურის ცენტრი“-ს დირექტორი
7	ააიპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა-განხილვა	მაისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ააიპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორი
8	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წლიური ანგარიში	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

9	შპს „ქედის წყალკანალი“-ს მირ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის წყალკანალი“-ს დირექტორი
10	შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“- ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის ავტოსატრანსპორტ ო საწარმო“- ს დირექტორი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95,95250872; 28.02.2025 წელი).

9.მოისმინეს: ა(ა)იპ - „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს გააცნო ა(ა)იპ - „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95250863-95, 27.03.2025 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95,95250871; 28.02.2025 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:55 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**